საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №4/ნ

2023 წლის 26 იანვარი

ქ. თბილისი

სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების საერთაშორისო აკრედიტაციის პირობების დამტკიცების შესახებ

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების 5[7] მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

1. 2025 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული ,,საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (დანართი №1) მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებლად განისაზღვროს დაწესებულება, რომელსაც მოპოვებული ექნება საერთაშორისო აკრედიტაცია, შემდეგი წესის მიხედვით:

ა) სტაციონარული და ამბულატორიული/დღის სტაციონარის პირობებში განსახორციელებელი მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებებს (გარდა ,,ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის შესაბამისი წლის დადგენილებით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სოფლის ექიმი - პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებისა) მოეთხოვებათ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით შეარჩიონ აკრედიტაციის განმახორციელებელი ორგანიზაციები, რომლებიც აკმაყოფილებენ ერთდროულად შემდეგ კრიტერიუმებს:

ა.ა) გარე შეფასების განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის აკრედიტაციის მიმნიჭებელი საერთაშორისო ორგანოს - ,,ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის საერთაშორისო საზოგადოების/გარე შეფასების ასოციაციის“ (International Society for Quality in Health Care/External Evaluation Association (ISQua/ISQuaIEEA) წევრობა და მინიჭებული აკრედიტაცია;

ა.ბ) ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ან კანადაში, ან ამერიკის შეერთებულ შტატებში სამედიცინო დაწესებულებების აკრედიტაციის ჩამოყალიბებული პრაქტიკა;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“ და „ა.ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, რეკომენდებულია სამედიცინო დაწესებულებამ აკრედიტაციისთვის მიმართოს ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციებიდან ერთ-ერთს, ან თავად შეარჩიოს ორგანიზაცია:

ა) Accreditation Canada;

ბ) American Accreditation Commission International (AACI);

გ) Joint Commission International (JCI);

დ) Kooperation für Transparenz und Qualität im Krankenhaus (KTQ);

ე) TEMOS International Healthcare Accreditation;

ვ) The Australian Council on Healthcare Standards International (ACHS International).

3. ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის, გარდა ამ მუხლის პირველი და მე-2 პუქტით განსაზღვრული აკრედიტაციის მექანიზმისა, ასევე დაშვებულ იქნეს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Organization for Standardization-ISO) შეფასების სტანდარტთან ISO9001 შესაბამისობის დამადასტურებელი მოწმობის მოპოვების შესაძლებლობა.

4. ლაბორატორიული მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებებისთვის, ასევე დაშვებულ იქნეს ISO15189 სტანდარტთან შესაბამისობის დამადასტურებელი მოწმობის მოპოვების შესაძლებლობა.

5. აკრედიტაციის/ISO სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების განმახორციელებელი ორგანიზაციის ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ჩამონათვალიდან შერჩევის შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო), აკრედიტაციის პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტისგან განსხვავებულ შემთხვევაში, თუ სამედიცინო დაწესებულება აკრედიტაციის/ISO სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების განხორციელებისთვის ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ჩამონათვალში მითითებული ორგანიზაციების ნაცვლად შეარჩევს სხვა ორგანიზაციას, სავალდებულოა, აკრედიტაციის დაწყებამდე, შერჩეული ორგანიზაციის შესახებ შეთანხმების მიზნით, ინფორმაცია მიაწოდოს სამინისტროს.

7. აკრედიტაციისა და ISO სტანდარტებთან შესაბამისობის დამადასტურებელი მოწმობა განახლებულ/მოპოვებულ იქნეს შეფასების განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ დადგენილი პერიოდულობის შესაბამისად, უწყვეტობის პრინციპის დაცვით.

მუხლი 2

სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, არაუგვიანეს 2023 წლის 31 დეკემბრისა, სამინისტროს წარუდგინოს შუალედური ინფორმაცია შერჩეულ აკრედიტაციის/ISO სერტიფიცირების განმახორციელებელ ორგანიზაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების/თვითშეფასების შევსებული კითხვარის/სხვა დამატებითი დოკუმენტაციის სახით, რომელიც ასახავს/ადასტურებს სამედიცინო დაწესებულებაში მიმდინარე აკრედიტაციის/სერტიფიცირების პროცესს.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი